

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N43

ქ.თბილისი

16 აგვისტო, 2024 წელი
16⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე

კახაბერ ლაბუჩიძე

აკაკი ალადაშვილი

ნათია მოდებაძე

ლევან არველაძე

შალვა ოგბაიძე

ვლადიმერ ბოჟაძე

გურამ ოქროპირიძე

ოთარ გრიგოლია

ნინო რუხაძე

მამუკა გუგეშაშვილი

რევაზ სოხაძე

ლევან დავითაშვილი

თამარ ჩახვაშვილი

ნინო ვარდოსანიძე

ზურაბ ჩიკვილაძე

კონსტანტინე ზარნაძე

გივი ჩხარტიშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

ავთანდილ ცინცაძე

ანა კაკაბაძე

ირაკლი ხელაძე

ნიკოლოზ კახეთელიძე

ალექსანდრე ხუჯაძე

ანა კილაძე

ლევან ჯაფარიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი თამარ გოგიტიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი ბეზიაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეები: ვასილ აბულაძე, ნინო ბაგაშვილი, ოთარ ჩიტიძე, დავით ჯაიანი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წარმომადგენელი გიორგი კობიაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი სოფიო დოლონაძე.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. თამარ ჩახვაშვილს მიულოცა საკრებულოს წევრობა და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში.

ოთარ გრიგოლიამ თამარ ჩახვაშვილს მიულოცა საკრებულოს წევრობა, აღნიშნა, რომ ის დიდი ხანია არის „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი და წარმატებები უსურვა მას. ისაუბრა საკრებულოს ოპოზიციაზე და განაცხადა, რომ მან, ფაქტობრივად, „თავი გაიუქმა“, რადგან აღარ მონაწილეობს საკრებულოს საქმიანობაში და ოპოზიციონერი კოლეგები, საკრებულოს მიღმა, აკეთებენ ისეთ განცხადებებს, რომლებთან დაკავშირებითაც არანაირი არსებითი წარმოდგენა არ აქვთ, რაც, ძირითადად არის „წინასაარჩევნო რეფლექსები“ იმისთვის, რომ დაძაბონ სიტუაცია. ოთარ გრიგოლიამ მოუწოდა საკრებულოს ოპოზიციის წარმომადგენლებს, დაბრუნდნენ ჩვეულ სამუშაო გარემოში, იყვნენ კონსტრუქციულები, შეასრულონ მათი ფუნქცია, რაც დაავალა ხალხმა და შეწყვიტონ ტყუილების ლაპარაკი.

ვლადიმერ ბოჭაძემ თამარ ჩახვაშვილს მიულოცა საკრებულოს წევრობა და წარმატებები უსურვა მას. გამოეხმაურა საკრებულოს ოპოზიციის ბოიკოტს და განაცხადა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლებს არაფერი გაუკეთებიათ იმისთვის, რომ თუნდაც ერთი თბილისელის ცხოვრება შეეცვალათ, ბოიკოტს უცხადებენ დედაქალაქის „ისტორიულ“ ბიუჯეტს, ახალი ბაღების მშენებლობას, სკვერების, პაკრების, ქუჩების რეაბილიტაციას, სატრანსპორტო პოლიტიკას და ყველაფერს იმას, რაც თბილისელებს უადვილებს და ულამაზებს ცხოვრებას, რაც, მისი თქმით, კიდევ ერთი კარგი გაკვეთილი იქნება 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის.

კახაბერ ლაბუჩიძემ თამარ ჩახვაშვილს მიულოცა საკრებულოს წევრობა და წარმატებები უსურვა მას. ისაუბრა იმაზე, თუ როგორ ხვდება თბილისის მუნიციპალიტეტი ახალი სასწავლო წლის დაწყებას და განაცხადა, რომ გაიხსნა ხუთი ახალი ბაღი, რითიც ბავშვებისთვის გაჩნდა დამატებით 1500 ადგილი. ხოლო, რაც შეეხება შენობებს, გარემოს, სწავლის ხარისხს და მეთოდოლოგიას, არის სრულად ევროპული და ისეთი, როგორც არასდროს ყოფილა დედაქალაქის ისტორიაში. აქვე, გამოეხმაურა ერთ-ერთი ოპოზიციონერის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებულ განცხადებას, რომ თითქოს მშობლები ვერ არეგისტრირებდნენ ბავშვებს საბავშვო ბაღებში, რასაც სიცრუე უწოდა და განაცხადა, რომ ბაღებში რეგისტრაცია მიმდინარეობს სამ ეტაპად და ყველასთვის ცნობილია, თუ რომელ ეტაპზე მოსახლეობის რა კატეგორიას შეუძლია ბავშვის დარეგისტრირება და ამ მხრივ არავითარი პრობლემა არ ყოფილა.

ანა კილაძემ 2024 წლის ოლიმპიადაზე მიღწეული წარმატება მიულოცა ოლიმპიადის მონაწილე სპორტსმენებს, რომლებმაც, მისი თქმით, დიდი გამოცდილება მიიღეს პარიზის ოლიმპიადაზე და აუცილებლად „იტყვიან თავის სიტყვას“ 2028 წლის ოლიმპიურ თამაშებზე. მან ქართველი სპორტსმენების წარმატება მიულოცა სრულიად საქართველოს, ყველა იმ პირს, ვისაც წვლილი მიუძღვის ამ წარმატების მიღწევაში და განაცხადა, რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს ქართული სპორტის მხარდასაჭერად - განხორციელდა და კვლავაც გაგრძელდება მნიშვნელოვანი პროექტები სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების საქმეში, რაც იქნება იმის გარანტი, რომ ჩვენი სპორტსმენები კიდევ უფრო წარმატებულად იასპარეზებენ და არაერთხელ ააჟღერებენ ქართულ ჰიმნს მომდევნო წლების ოლიმპიადებზე. ანა კილაძემ ასევე, ისაუბრა 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე და განაცხადა, რომ დარწმუნებულია, მოსახლეობის უმრავლესობა ქვეყანაში მშვიდობას, კეთილდღეობას და ევროპისკენ სწრაფვას დაუჭერს მხარს და მოუწოდა ოპოზიციის წარმომადგენლებს, მოერიდონ საზოგადოებაში ცრუ ინფორმაციის გავრცელებას და იყვნენ კონსტრუქციულები, რათა არჩევნებმა ჩაიაროს მშვიდობიან გარემოში.

გურამ ოქროპირიძემ პარიზის ოლიმპიადის თითოეულ მონაწილეს მიულოცა წარმატებული ასპარეზობა და მადლობა გადაუხადა სპორტსმენებს, სამწვრთნელო შტაბს, პერსონალს და ყველა იმ ადამიანს, ვინც იცავდა საქართველოს ღირსებას. აქვე აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ნაკრების ყველა წევრი მიიღებს ფინანსურ ჯილდოს და, რა თქმა უნდა, როგორც ცენტრალურ, ასევე, მუნიციპალურ დონეზე გაგრძელდება სპორტის

მიმართულების მხარდაჭერა, ინფრასტრუქტურისა და პროგრამების განვითარების სახით, რასაც საბოლოოდ ექნება ყველასთვის სასურველი შედეგი - მივალწიოთ უფრო მეტ წარმატებას.

თინათინ ნიბლოშვილმა თამარ ჩახვაშვილს მიულოცა საკრებულოს წევრობა და წარმატებები უსურვა მას. განაცხადა, რომ, სამწუხაროდ, ოპოზიციური გაერთიანებების კამპანიის ნაწილი მიმართულია ძალადობის მსხვერპლი ქალების რეაბილიტაციის და რესოციალიზაციის დაწესებულებების დისკრედიტაციისკენ, რაც გამოიხატება მათ განცხადებებში, რომ თითქოს უმრავლესობის წევრმა ქალებმა გააუფერულეს ფემიციდის ფაქტები და არ რეაგირებენ, რომ ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის გამოყოფილი თანხებით „ჩინოვნიკები“ ყიდულობენ მანქანებს და ა.შ. თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ ბოლო 6 თვის განმავლობაში თბილისის კრიზისულ ცენტრს ჰყავდა 600 ბენეფიციარი, ხოლო ცხელი ხაზის მომსახურებით ისარგებლა 2700-მა ქალმა და ოპოზიციონერი კოლეგების მხრიდან ტელეეთერებით სიცრუის ტირაჟირება, პირველ რიგში, აზიანებს იმ ქალებს, რომლებსაც ართმევენ სახელმწიფოს მიმართ ნდობას, რადგან, ფაქტობრივად, მოუწოდებენ, რომ არ დარეკონ ცხელ ხაზზე, რადგან ვერანაირ დახმარებას ვერ მიიღებენ კრიზისული ცენტრისგან. თინათინ ნიბლოშვილმა განაცხადა, რომ, ოპოზიცია, მათ შორის, კოლეგა ქალები ძალიან გააქტიურდნენ ამ თემით და მოუწოდა მათ შეწყვიტონ ტყუილების ტირაჟირება, რადგან ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი ინფორმაციის მიწოდებას და სახელმწიფოს მიმართ ნდობის გაზრდას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე პაატა ტოგონიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

თანამომხსენებელი: ნიკოლოზ კახეთელიძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: თამარ გოგიტიძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გურამ ოქროპირიძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

6. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში მოტოციკლის (გარდა სამოვლიანისა) ან/და მოპედის (გარდა სამოვლიანისა) მოძრაობის დროის და პირობების განსაზღვრის შესახებ“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M₃ კატეგორია) მარშრუტების, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების (M₃ კატეგორია) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის N36-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: დავით ჯაიანი

8. „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M₂ ან M₃ კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: დავით ჯაიანი

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

10. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

11. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის/ელექტრონული საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოების, აღრიცხვა-ანგარიშების და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის N42-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის N13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“;
მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

15. „ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N4ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.141.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;
მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

16. „ქალაქ თბილისში, დიდ დილოშში, მე-4 მიკრორაიონის კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.07.007.138.01.535) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;
მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

17. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N75-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.001.011.01.517) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;
მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

18. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ.N2ბ-ში მდებარე N81 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.154.01.01.081), ქალაქ თბილისში, ანაპის 414-ე დივიზიის ქ.N30ბ-ში მდებარე N19 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.02.020.019.01.01.019) და ქალაქ თბილისში, ილია სუხიშვილის ქ.N45-ში მდებარე N43 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.19.39.029.046.01.02.043) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;
მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

19. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.030.001.02.017) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;
მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

20. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;
მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

21. „ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის ქუჩა N28-ში არსებული 21.30 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.060.01.5037) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

22. „ქალაქ თბილისში, თრიალეთის ქუჩა N54-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.004.009) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

23. „ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდები: N01.19.20.020.085.01.500 და N01.19.20.020.085.01.506) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

24. „ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N34-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.032.017) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

25. „ქალაქ თბილისში, აჭარის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.010.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 13 დეკემბრის N46.12.908 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, აჭარის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.010.006.01.540) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

26. „ქ.თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N8-10-ის მიმდებარედ არსებული 580 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.010.011) 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფუოკოსთვის“ (ს/ნ. 412768535) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

27. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს ქ.N26ა-ს მიმდებარედ არსებული 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. N01.10.17.003.028) პირდაპირი განკარგვის წესით მანანა გოგიასთვის (პ/ნ. 01030045284) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

28. „ქ.თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა N6-ის მიმდებარედ 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.031.066) პირდაპირი განკარგვის წესით ირინე გველესიანისთვის (პ/ნ. 01008023229) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

29. „ქალაქ თბილისში, კონსტანტინე გამსახურდიას გამზ. N37-ის მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.013.036) პირდაპირი განკარგვის წესით თამაზ ხარაიძისთვის (პ/ნ. 01010004194) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

30. „ქალაქ თბილისში, იოსებძის ქ. N53-ში მდებარე 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.017.018) პირდაპირი განკარგვის წესით ნანა მაისურაძისთვის (პ/ნ. 01020000149) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

31. „ქ.თბილისში, ტაბიძის ქუჩა N3/5-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.022) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გალაქსი ინვესტისთვის“ (ს/ნ. 404449049) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

32. „ქალაქ თბილისში, ჯურხა ნადირაძის ქუჩა N4-ში არსებული 857 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი N01.14.04.028.019) შესყიდვის თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

33. „ქ.თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა N61-ში მდებარე, N01.14.06.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი შეთანხმების პროექტის პირობების შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 მაისის N233 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2024 წლის 12 ივლისის N330 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

34. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და გენადი თავართქილაძეს (პ/ნ. 01024008500) შორის 2024 წლის 16 მაისს გაფორმებული „პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გენადი თავართქილაძის (პ/ნ. 01024008500) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

35. „ქ.თბილისში, შარტავას ქ. N1-ში (ს/კ: 01.10.13.015.114) არსებულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, შპს „ინსის“ (ს/ნ. 206278516) მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ბეზიაშვილი

36. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დიდი დიღმის დასახლება, II და III მიკრო/რაიონს შორის არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.642, ფართობი - 2803 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

37. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გორგასლის ქუჩა N105-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.09.006.017,

ფართობი - 6622 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

38. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, აეროდრომის დასახლების I და II ქუჩა N8/2-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.10.012.089, ფართობი - 827კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

39. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი N49, N49ა -ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.07.008.187, ფართობი - 18664 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

40. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მექანიზაციის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.12.002.077, ფართობი - 8624 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

41. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, თემქის დასახლება, II მიკრო/რაიონი, II კვარტალი, N149 სკოლის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.02.025.027, ფართობი - 1500 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

42. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ხატაეთის ქუჩა N49; N47-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.247.003, ფართობი - 1395 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

43. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი N1ა-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.10.011.122, ფართობი - 2198 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

44. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

45. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

46. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.13.397.002) განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

47. „ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის IIა მიკრო/რაიონში, N27-ის კორპუსის მიმდებარე არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.06.014.050) განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

48. „ქალაქ თბილისში, წინანაურის ქუჩა N83; ქალაქი თბილისი, წინანაურის ქუჩა, N 103; ქალაქი თბილისი, წინანაური N83 -ის მიმდებარე; ქალაქი თბილისი, ნადიკვარის III ქუჩა, N36, N34-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.01.003.112; N01.18.01.003.111; N01.18.01.003.134; N01.18.01.003.108; N01.18.01.003.073; N01.18.01.003.068; N01.18.01.003.075; N01.18.01.003.117; N01.18.01.003.132; N01.18.01.003.050; N01.18.01.003.053; N01.18.01.003.125; N01.18.01.003.074) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

49. „ქალაქ თბილისში, უზნაძის ქუჩა N70-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.13.08.010.060; N01.13.08.010.062; N01.13.08.010.061; N01.13.08.010.059; N01.13.08.010.063) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

50. „ქალაქ თბილისში, სერგი წულაძის ქუჩა, N 32გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.11.034.007) საცხოვრებელი კომპლექსისა და საკულტო ობიექტის (ტაძრის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

51. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელი რაიონს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.36.014.968) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის N66 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

52. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.402) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

53. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N5-ში (ნაკვეთი N1/103) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.33.001.103) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

54. „ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა N45, N47; ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა N47-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.06.001.255, N01.10.06.001.256; N01.10.06.022.006) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

55. „ქალაქ თბილისში, თამარაშვილის ქუჩა N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.16.004.272; N01.10.16.004.283; N01.10.16.004.285; N01.10.16.004.284) მრავალფუნქციური და მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

56. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში; ქალაქი თბილისი, ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.004.002-ის ნაწილი) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N205 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

57. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში; ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, სამადლოს ქუჩა N16-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.18.901; N81.02.18.902; N81.02.18.107; N81.02.18.105; N01.81.02.183.003; N81.02.18.561) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს N386 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

58. „ქ.თბილისში, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, მე-13 კმ-ზე (ნაკვ.14/579); ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.835; N01.72.14.014.843; N01.72.14.014.579; N01.72.14.014.380) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს N389 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

59. „ქალაქ თბილისში, გიორგი მდივანის ქუჩა N5, N5ა, N9-ში, მოსკოვის გამზირ N31 ა-ში, (ნაკვეთი N7/29), (ნაკვეთი N7/33), ცენტრალურ ისანი-სამგორში (ნაკვ. 07/041), არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.11.007.019; N01.17.11.007.602; N01.17.11.007.009; N01.17.11.007.006; N01.17.11.007.008; N01.17.11.007.036; N01.17.11.007.007; N01.17.11.007.054; N01.17.11.007.055; N01.17.11.007.065) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის

დატკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N678 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

60. „ქ.თბილისში, რჩეულიშვილის ქუჩის, რჩეულიშვილის ქუჩის II ჩიხსა და III ჩიხს შორის არსებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 5 მაისის N985 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

61. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასლის ქუჩა N83ა, გორგასლის ქ. N83ა-ს და N81-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN 01.18.09.003.074, 01.18.09.003.066, 01.18.09.003.067, 01.18.09.003.026, 01.18.09.003.079, 01.18.09.003.080, 01.18.09.003.069, 01.18.09.003.052) ადმინისტრაციულ-საოფისე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 სექტემბრის N334 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა და „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასლის ქუჩა N83ა, გორგასლის ქუჩა N83ა-ს მიმდებარედ, გორგასლის ქუჩა N81-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე ადმინისტრაციულ-საოფისე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ოქტომბრის N398 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

62. „ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N72.16.17.538; N72.16.17.752; N72.16.17.876; N72.16.21.691; N72.16.21.100; N72.16.17.877; N72.16.21.101; N72.16.21.692) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

63. „ქალაქ თბილისში, სოფელი ტაბახმელა, კოტე აფხაზის ქუჩა, N 29; N24; N22; N20; N20ა; N26; N28; N31-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.95.043; N81.02.03.414; N81.02.98.856; N81.02.29.119; N81.02.29.120; N81.02.03.472; N81.02.03.473; N81.02.03.471; N81.02.03.470) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

64. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი, N74-ში; ქალაქი თბილისი, დასახლება ორხევი, მუხამის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.17.002.172; 01.19.17.002.108; 01.19.17.002.174) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

65. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N27-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.894) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“.

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე პაატა ტოგონიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და აღნიშნა, რომ პაატა ტოგონიძე საკმაოდ დიდი ხანია წარმატებით მუშაობს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე.

ნიკოლოზ კახეთელიძემ აღნიშნა, რომ პაატა ტოგონიძე არის დარგის პროფესიონალი, რომელიც უკვე ორი წელია ასრულებს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოვალეობას, თანამშრომლობს საკრებულოს წევრებთან და ითვალისწინებს მათ რეკომენდაციებს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა თამარ გოგიტიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილება ეხება ტრანსპლანტაციის პროგრამას, კერძოდ, ვუერთდებით ღეროვანი უჯრედების დონორთა მსოფლიო ბანკს, რაც ბენეფიციარებს მიეცემს შესაძლებლობას, რომ სრული სერვისი მიიღონ საქართველოში.

ზურაბ ჩიკვილაძემ აღნიშნა, რომ ღეროვანი უჯრედების დონორთა ბანკის მსოფლიო სისტემაში ჩართვა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მოქალაქეებისთვის და პროგრამის შემუშავებისთვის მადლობა გადაუხადა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს და თბილისის მერს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გურამ ოქროპირიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის თანახმად, იცვლება სატარიფო მომსახურების ფასი და ერთ ადამიანზე 4 ლარის ნაცვლად განსაზღვრული იქნება 6 ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ ცვლილება ითვალისწინებს ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში საგზაო მოძრაობის სქემის სამსახურის შექმნას, რომელიც განახორციელებს დროებითი სქემების შეთანხმებას. აქვე, განმარტა, რომ აღნიშნული ფუნქცია გადმოტანილი იქნება ქონების მართვის სააგენტოდან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილება ეხება დაჩქარებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ საკითხს, კერძოდ, ქონების მართვის სააგენტოში არსებული დღეები ანალოგიურად გადმოდის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

6. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში მოტოციკლის (გარდა სამთვლიანისა) ან/და მოპედის (გარდა სამთვლიანისა) მოძრაობის დროის და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ პროექტი ითვალისწინებს ავტობუსის ზოლში მოტოციკლეტის და მოპედის მოძრაობის დაშვებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (Mა კატეგორია) მარშრუტების, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების (M3 კატეგორია) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის N36-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით რუსთავი-თბილისის მარშრუტს ემატება სამი მიმართულება: დიდუბე, რკინიგზის სადგური და უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით კიდევ ოთხი კომპანია შეძლებს თანამშრომლების გადაყვანას წინასწარ შეთანხმებული მარშრუტით. აქვე აღნიშნა, რომ ოთხივე შპს-ს შემთხვევაში, საუბარია სულ რვა მარშრუტზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ ცვლილებები ითვალისწინებს მალფუჭებადი საკვების გადამზიდავ სატრანსპორტო საშუალებებზე დაწესებული შეზღუდვების ვადის გადაწევას პირველ იანვრამდე და სატრანსპორტო საშუალებების სახეობებზე ტრაქტორის დამატებას, რაც გამოწვეულია კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

10. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც უბილეთოდ მგზავრობის გამო დაჯარიმებულ პირებს ჯარიმის გადახდისას არ ჰქონდათ ან შეცდომით ჰქონდათ ასახული ოქმის ნომერი, რაც, ძირითადად გამოწვეული იყო ბანკის თანამშრომლების შეცდომით. აღნიშნული პრობლემის მოგვარება, ზემოთ ხსენებული შემთხვევების სიმრავლიდან გამომდინარე, ვერ მოესწრო განსაზღვრულ დროში და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია ვადის გადაწევა პირველ ნოემბრამდე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის/ელექტრონული საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოების, აღრიცხვა-ანგარიშგების და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის N42-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წარმომადგენელმა გიორგი კობიაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით, საჯარიმო ქვითრის დანართი N2-ს დაემატება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლი და რეგისტრაციის გამცემი ორგანო იქნება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ დაჩქარებული მომსახურების გაწევის წესი აქვს როგორც ქონების მართვის სააგენტოს, ასევე, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს. ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევის წესში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, საჭიროა ქონების მართვის სააგენტოს დაჩქარებული მომსახურების გაწევის წესიდან იმ ფუნქციების ამოღება, რომლებიც გადადის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის N13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა სოფიო დოლონაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი და მომდევნო საკითხი ეხება ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციას, კერძოდ, იქიდან გამომდინარე, რომ ხაზობრივ ნაგებობებთან დაკავშირებული ფუნქციები გადავიდა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, საჭიროა ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაცია და დებულებაში ცვლილებების განხორციელება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა სოფიო დოლონაძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

15. „ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N4ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.141.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა სოფიო დოლონაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 53.36 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2009 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

16. „ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში, მე-4 მიკრორაიონის კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.07.007.138.01.535) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა სოფიო დოლონაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 46.76 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2006 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

17. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N75-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.001.011.01.517) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა სოფიო დოლონაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 23.76 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 1992 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

18. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N28-ში მდებარე N81 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.154.01.01.081), ქალაქ თბილისში, ანაპის 414-ე დივიზიის ქ. N308-ში მდებარე N19 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.02.020.019.01.01.019) და ქალაქ თბილისში, ილია სუხიშვილის ქ. N45-ში მდებარე N43 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.19.39.029.046.01.02.043) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა სოფიო დოლონაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი ეხება ყიფშიძის ქუჩა N58-ში არსებულ დაუმთავრებელ მშენებლობას, რომლის ფარგლებშიც სამი ფართი გადაეცა ორ პირს, რომელთაგან ერთი გარდაიცვალა და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია ხსენებული ფართების გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

19. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.030.001.02.017) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა სოფიო დოლონაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 89.68 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2008 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

